


„ალიონის“ გამოკითხვა: ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი

კითხვაზე სწორი პასუხის გამცემი რესპოდენტი ისარგებლებს ჩვენი უფასო მომსახურებით – გაზეთში თითო არაპოლიტიკური განცხადების ან მილოცვის გამოქვეყნებით

►►► გვ-3.4

# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 38 (10283) 8 ოქტომბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

## მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ზეიმი ოზურგეთში



**ალიონი..** 5 ოქტომბერს ოზურგეთში მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ ღონისძიებას ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლამ უმასპინძლა.

პედაგოგებსა და დამსწრე საზოგადოებას მასწავლებლის პროფესიული დღესასწაული მიულოცეს გურიის გუბერნატორმა ზურაბ ნასარაიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ, ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ლელა იმედაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ინწკირველმა, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა მარინა ჯაფარიძემ და სხვებმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის ორგანიზებით მომზადებულ, მხატვრული საკონცერტო ნომრებით მდიდარ ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორები და პედაგოგები, საკრებულოსა და მერიის წამყვანი სპეციალისტები, საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლები.

ღონისძიების ბოლოს პედაგოგებს გადაეცათ ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები.

სრულ მასალას ოზურგეთში მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

## ნიუსები საკრებულოს სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 3 ოქტ-ომბრის სხდომის დღის წესრიგში 16 საკითხი იყო შეტანილი, აქედან ხუთი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თემაზე.

დაწყებიდან 10-15 წუთში სხდომაზე გამოცხადებულმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოთხმა დეპუტატმა დატოვა დარბაზი(?!).

იმის გამო, რომ უკანა რიგებში ვიჯექით და ჩვენამდე მომხსენებლთა ხმაზე უფრო დეპუტატთა კერძო საუბრების ხმაური აღწევდა, იძულებული ვართ, შემოგთავაზოთ მხოლოდ ნიუსები ამ სხდომაზე განხილული საკითხებიდან. სწორედ ამ ხმაურისა და დეპუტატთა გარკვეული ნაწილის დარბაზში ქცევის დაბალი კულტურის გამო, არ ვართ დაზღვეული უზუსტობებისგან, რისთვისაც მკითხველს წინდაწინ ბოდიშს ვუხდით.

### ხუთიდან ოთხი მიღებულია

როგორც უკვე ვთქვით, სხდომაზე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების თემაზე ხუთი საკითხი განიხილეს.

საკრებულომ მიიღო დადგენილებები „სკოლამდელი აღზრდისა და საჯარო დაწესებულებების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“; სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების დამტკიცების შესახებ“; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქცი-ების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

დეპუტატ ლელა საჯაიას წინადადებით, გადაიდო მეხუთე საკითხი „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“.



### მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის ახალი ინსტრუქცია

დეპუტატებმა განიხილეს და მოიწონეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ახალი ინსტრუქცია.

მოსაკრებლების სრული ჩამონათვალი, ადგილმდებარეობისა და მშენებლობის ტიპის მიხედვით, შეგიძლიათ იხილოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე.

დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება ამ საკითხზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 აგვისტოს №42 დადგენილება.

### ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ახალი ფორმები

სხდომაზე დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცებას. ძალადაკარგულად გამოცხადდა ამ საკითხზე საკრებულოს 2016 წლის 13 მაისის №14 დადგენილება.

### ქონების საწყისი საპრივატიზებო და ქირის საწყისი საფასურები

ამავე სხდომაზე საკრებულომ მიიღო დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“.

დადგენილების მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის)

►►► გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


### სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

## გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციაში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ იმსჯელეს



გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციაში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ იმსჯელეს.

გასულ ხუთშაბათს, გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, კრიზისების მართვის დეპარტამენტის სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს წარმომადგენლებს თეიმურაზ მელქაძეს და ილია ხურციძეს შეხვდა.

შეხვედრაზე დეტალურად ისაუბრეს, თუ რა უნდა გაკეთდეს მუნიციპალიტეტების მხრიდან საგანგებო სიტუაციების დროს, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირების მოხდენა, ინფორმაციის ოპერატიულად მიღება და რთულ სიტუაციებში სტრატეგიის დასახვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ გუბერნატორის მოადგილეები, გიორგი თურმანიძე, გია ებრალიძე, ქეთევან მოისწრაფეშვილი, სამივე მუნიციპალიტეტის მერების მოადგილეები და საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი წარმომადგენლები.

## სასამართლო პროცესი გადაიდო

**ალიონი.** 5 ოქტომბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ქალაქ ოზურგეთის მერიის ყოფილი სამსახურის უფროსის ბესიკ მელუს, ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის ყოფილი უფროსის ხათუნა სურგულაძის და განყოფილების ყოფილი უფროსის ქეთევენ კვაჭანტირაძის სააპელაციო სარჩელის განხილვა დაიწყო. ისინი თანამდებობებზე აღდგენას ითხოვდნენ.

სასამართლო პროცესი გადაიდო. გაზეთი „ალიონი“ ადვოკატ მარიამ ლევიძეს დაუკავშირდა და პროცესის გადადების მიზეზზე სთხოვა მოკლე კომენტარი:

– როგორც იცით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გაასაჩივრა. ისინი აპელირებენ კონკურსის შედეგების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით. ამიტომ სასამართლომ გაითვალისწინა მოპასუხე მხარის მოთხოვნა, დააკმაყოფილა იგი და საკონკურსო კომისია ჩართო განსახილველ საქმეში მესამე პირად –გვითხრა მარიამ ლევიძემ.

მორიგი სასამართლო სხდომა 16 ოქტომბერს გაიმართება.

## დოკუმენტური ფილმი ეროვნულ გმირზე



გასულ ხუთშაბათს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას შესახებ დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა, რომელსაც ზაზა დამენიას ოჯახის წევრები, საჯარო მოხელეები და მოსწავლეები დაესწრნენ.

ფილმის რეჟისორია დავით გოგოხია, რომელსაც ამავდროულად აღნიშნული დოკუმენტური ფილმის შექმნის იდეა და სცენარიც ეკუთვნის.

ფილმი დეტალურად აღწერს საქართველოს არმიის კაპრალის, ეროვნული გმირის, აფხაზეთისა და ცხინვალის ომების მონაწილე ზაზა დამენიას გმირობის ისტორიას, ამავდროულად წარმოგვიდგენს უკანასკნელი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ პროცესებს.

ზაზა დამენია 2002 წელს ჩაირიცხა ვაზიანის მე-11 მექანიზებული მსუბუქი ქვეითი კომანდოს მესამე ასეულში. 2004 წლის აგვისტოში იბრძოდა ცხინვალის მისადგომებთან. 16 აგვისტოს იმ სანგარზე, სადაც ზაზა დამენია იმყოფებოდა, განხორციელდა მძლავრი შეტევა. მოწინააღმდეგემ სანგარში ხელყუმბარის ჩაგდება მოახერხა, მას ზაზა გადაეფარა და საკუთარი სიცოცხლის ფასად თანამებრძოლები დაღუპვისგან იხსნა.

ზაზა დამენიას ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა „სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გამორჩეული გმირობისათვის“.

## ბაგა-ბაღებს ჯამ-ჭურჭელი შეუძინეს

**ალიონი.** ოზურგეთის ბაგა-ბაღებში ახალი ჭურჭლის შეტანა ეტაპობრივად მიმდინარეობს. ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნი-ციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრმა“ 12 277ლარის ღირებულების სხვა და სხვა სახის ჯამ-ჭურჭელი შეიძინა.

ა.(ა).ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ დირექტორი, მაკა ჭყონია: „ჭურჭელი შევიძინეთ ბაღების მოთხოვნის შესაბამისად. რომელ ბაღშიც რა საჭიროება იყო იმის მიხედვით. ჭურჭელი 43-დან 40-მა ბაღმა მოითხოვა."

ჭურჭლის გარდა ასევე შეძენილია დეზობარიერები და დეზოტეკები, რომელიც სურსათის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას და რეკომენდაციას წარმოადგენს.



„უახლოეს მომავალში ვაპირებთ ავეჯზე ტენდერის გამოცხადებას. ჯერ შევისწავლით ბაღების საჭიროებებს ამ მიმართულებით“– გვითხრა ჭყონიამ.

## პეტიცია
## აიკრძალოს სოფელ ლიხაურში მდინარე აჭისწყლის აუზში ქვიშა–ხრეშის მოპოვება



აიკრძალოს სოფელ ლიხაურში მდინარე აჭისწყლის აუზში ქვიშა–ხრეშის მოპოვება

ლიხაური დიდი ისტორიის მქონე სოფელია. სოფელში მდებარეობს ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ღვთისმშობლის ეკლესია, წმ. გიორგის ეკლესია, ლიხაურის ციხე), თუმცა სოფლის მთავარ სიმდიდრეს მდ. აჭისწყალი და მისი ულამაზესი ხეობა წარმოადგენს.

მდინარის უნიკალური ლანდშაფტი აქ ბევრ დამსვენებელს იზიდავს როგორც გურიიდან, ისე მთელი საქართველოდან. ზაფხულის განმავლობაში აჭისწყლის ხეობაში ტემპერატურა საგრძნობლად დაბალია ქ. ოზურგეთთან შედარებით.

მდინარე აჭისწყალი უზრუნველყოფს სოფ. ლიხაურსა და დაბა ანასეულს სასმელი და ტექნიკური წყლით.

მდინარე მდიდარია თევზის უნიკალური ჯიშებით: ნაკადულის კალმახი, ქაშაპი, წვერა, ფრიტა და სხვა. ნაკადულის კალმახი საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობაა, რომლის პოპულაციის აღდგენაც სახელმწიფოს გარემოსდაცვითი სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარეს ეკოლოგიური და რეკრეაციული თვალსაზრისით.

ამ გარემოებების გათვალისწინებით შემაშფოთებლად მივიჩნევთ მდინარის კალაპოტში ქვიშა-ხრეშის კარიერული წესით მოპოვებას, რაც როგორც გარემოსთვის, ასევე, მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოქმნის რამდენიმე მიმართულებით: ა) ზიანს აყენებს თევზის წითელი ნუსხით დაცულ სახეობას; ბ) საფრთხეს უქმნის დამცავ ნაგებობებს, რომლებიც მდინარის სანაპიროზე განთავსებულია ინტენსიური წვიმების დროს კალაპოტიდან გადმოსული მდინარისგან მოსახლეობის დაცვის მიზნით და უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენებს მოსახლეობას; გ) იწვევს მიწისქვეშა წყლების გაქრობას და, შესაბამისად, მოსახლეობის სასმელი წყლის ჭებში წყლის დაშრობას.

ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს, რომ „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები ... ტურიზმის განვითარების, ... გარემოს დაცვის, ... ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის და სხვა მიზნებით“.

აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მონიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება, მათ შორის, გვიშუამდგომლოთ გარემოს დაცვის სამინისტროსთან მდინარე აჭისწყლის აუზში ქვიშა–ხრეშის მოპოვების აკრძალვასთან დაკავშირებით.

# ნიუსები საკრებულოს სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ

დასკვნის საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ან/და მოძრავი ქონების აუქციონის წესით სასყიდლით სარგებლობის უფლებით გადაცემისას კი, ქირის საწყისი წლიური საფასური განისაზღვრება ამ დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად განსაზღვრული საწყისი საპრივატიზებო საფასურის 7%-ის ოდენობით.

### საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესი

3 ოქტომბრის სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

– დამტკიცდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესი“ თანახმად დანართისა (იხ. საკრებულოს ვებ-გვერდზე).

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ამ საკითხზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისად 2015 წლის 4 მარტის №15 და 2014 წლის 7 ნოემბრის №33 დადგენილებები.

### სხვა საკითხები

საკრებულომ მიიღო დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების შესახებ“.

ამ დადგენილებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული 60 კვადრატულ მეტრამდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მეტრამდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მეტრამდე ჩაღრმავების მქონე შენობის და 20 კვადრატულ მეტრამდე მოცულობის, 10 მეტრამდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან სა-შუალოდ 10 მეტრამდე ჩაღრ-მავების მქონე ნაგებობის ასა-შენებლად გაიცემა მშენებლობის ნებართვა II კლასის მშენებლ-ობებისათვის დადგენილი წესით.

თავი შეიკავეს კურორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებაზე, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ამ საკითხზე მუშაობის გაგრ-ძელება.

მხარი დაუჭირეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დასამტკიცებლად.

საკრებულომ მიიღო განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სერვიტუტით (სერვიტუტი - მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების, სხვა მიწის ნაკვეთის, ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ გაცემა) გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიღების შესახებ“.

სხდომაზე მხარი დაუჭირეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების მისაღებად.



მწვანე შუქი მისცეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მიიღეს განკარგულება „ქალაქ ოზურგეთში, ერისთავის ქუჩაზე საგზაო ნიშნის („დგომა აკრძალულია“) განთავსების ორგანიზების შესახებ.“

**თემურ მარშანიშვილი**

# ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი?

**„ალიონი“ განაგრძობს გამოკითხვას თემაზე ვინ გახდება საქართველოს პრეზიდენტი. კითხვაზე სწორი პასუხის გამცემი რესპოდენტი ისარგებლებს ჩვენი უფასო მომსახურებით -გაზეთში თითო არაპოლიტიკური განცხადების ან მილოცვის გამო-ქვეყნებით.**

**პირველმა რესპოდენტმა რამდენადმე უცნაური პასუხი მოგვცა: „იმედია, არც ერთი“. რას ფიქრობენ სხვები?**



**შოთა შაქარიშ-ვილი:** წარმოადგინონ საკუთარი საარჩევნო პროგრამები. რა იქნება მათი მთავარი საქმე. გვითხრას თითოეულმა, რას გააკეთებს ქვეყნისთვის, როცა პრეზიდენტი გახდება. ხალხის მოთხოვნებს თუ შეასრულებს, ვინც უნდა მოვიდეს, ჩემთვის სულერთია „ნაციონალი“ იქნება თუ „ოცნება“. მთავარია, გააკეთონ საქმე. და არა ის, აბრალონ ერთმანეთს საშინელებები, ჯიბეში ჩაიწყონ ხელები და იარონ. ქუჩა-ქუჩა. ლაპარაკით არაფერი გამოვა. დაქცევის პირას ვართ მისული.



**ეთერ ქადეიშვილი:** პრეზიდენტი ვინ გახდება, არ ვიცი, მაგას ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ მე მინდა გახდეს თემურ შაშიაშვილი. იმიტომ, რომ არის დიდებული პიროვნება. საომარი მოქმედებების დროს აფხაზეთში რომ ჩავდიოდი, იქ ვნახულობდი ხშირად, მასაც სურსათ სანოვაგე ჩამოჰქონდა ჩვენს ბიჭებთან. რა გადახდა ამის გამო, ეს მე ვიცი. ეს არის ყოველმხრივ დადებითი პიროვნება. ერთი სიტყვით, ქართული სულის ადამიანი. საუკეთესო საარჩევნო პროგრამა აქვს, გირჩევთ, თქვენაც ნახოთ.



**ნასაკირალელი ქალბატონი:** რაცხა 5 ნომერია იმას უნდა მიცე ხმაო.

-ვინ გითხრათ 5 ნომერს მიეცით ხმაო?

-აბა არა? ვის უნდა მივცეთ?



**ნუგზარ ევგენიძე:** ვინცაა ახლა მთავარი კანდიდატი, სალომე ზურაბიშვილი, რა-დგან მთავრობა უდგას მხარში. მე ასე მგონია.



**უცნობი ამომრჩეველი:** ვინც ხალხისთვის იქნება კაი, იმას ვენაცვალე. თუ კარგი ადამიანი იქნება, ვინც გინდა, იყოს.



**შალვა თავდუმაძე:** დარწმუნებული ვარ, ვაშაძე გახდება პრეზიდენტი.



**იური თავაძე:** მე, იური თავაძე. მე ვარ პრეზიდენტი . „ვსიო“.



**უცნობი ამომრჩეველი:** ჩემი არჩევანი საიდუმლოა. პრეზიდენტი ის გახდება, ვინც მეტს დახარჯავს. არ უნდა ბევრი ლაპარაკი, უკვე გადახდილიცაა. ტყულა გვაყრიან ნაცარს თვა-ლში.



**ნათელა ძირკვაძე:** ვინც კარგი იქნება, ის მოვიდეს. მაგრამ მაინც სალომე გავა, ზურაბიშვილი



**ლევან ჩიტაიშვილი:** არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს. ძალიან რთული გამოსაცნობია. მე უსუფაშვილს ვუჭერ მხარს.



**თორნიკე ჩხაიძე:** იმედი მაქვს, არცერთი და მერე ახალი გამოჩნდება, ვინც ღირსი იქნება გამარჯვების. ისე კვლევების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ალბად დავით ბაქრაძეს აქვს სერიოზული შანსი.



**ხათუნა ბენდელიანი:** არ ვიცი ვინ გაიმარჯვებს. ალბათ, ბაქრაძე.



**მაია გოგელია:** მე მაინც ვფიქრობ რომ რეალური კანდიდატი სალომე ზურაბიშვილია.



**მალვინა რამიშვილი:** სალომე ზურაბიშვილი მოიგებს.



**ნონა შავაძე:** ვინც უნდა იმან გაიმარჯვოს, ჩემთვის მაინც არავინ არ იქნება. ისე მაინც სალომე ზურაბიშვილს ვფიქრობ.

# ცვლილებები პროექტში დანერგე მომავალი



ლურჯი მოცვის, მაყვლის და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების მხარდასაჭერად, სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი“ ცვლილებები შევიდა. ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს ახალი ქვეკომპონენტი - „კენკროვანი კულტურები“ დაემატა.

„დანერგე მომავალის“ პროექტის მენეჯერი მარიამ მეკოშკიშვილი, გურიის გუბერნატორთან ზურაბ ნასარაიასთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად რეგიონში: ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის რაიონებში მცხოვრებ ფერმერებს შეხვდნენ და ახალი ქვეკომპონენტის დეტალები გააცნეს.

როგორც პროექტის მენეჯერმა აღნიშნა - „ახალი ქვეკომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელსაც შესაძლებლობა ეძლევა განავითაროს საკუთარი მცირე ფერმერული მეურნეობები და მიიღოს სარგებელი“.

ქვეკომპონენტის ფარგლებში, განსაზღვრულ რეგიონებში, დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 100%, როგორც ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში; 100%-ით დაფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემების ღირებულებაც; საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსდება ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ღირებულების 100%.

ქვეკომპონენტი განხორციელდება:

იმერეთში - საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურის, ხარაგაულის, ბაღდათის, ვანის, ხონის მუნიციპალიტეტებში და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში;

გურიაში - ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები;

რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში - ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში;

სამეგრელო-ზემო სვანეთში - წალენჯიხის, მარტვილის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში.

მცხეთა-მთიანეთი - მცხეთის, თიანეთის, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში

ფიზიკური პირის შემთხვევაში, ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია არანაკლებ 0.15 ჰა და არაუმეტეს 0.5 ჰა კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების დაფინანსება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის (რომლის საკუთრებაშია მეპაიეების მიერ პაის სახით შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) მიერ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების ფართობი განისაზღვრება თითოეული მეპაიის მიერ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რაოდენობის მიხედვით, თითოეულ მეპაიეზე არაუმეტეს 0,5 ჰა-ის გადაანგარიშებით.

სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს, რომელიც დაფინანსებას მიიღებს არანაკლებ 5 ჰექტარზე ბაღის გასაშენებლად, უსასყიდლოდ გადაეცემა პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო 1 ერთეული სტაციონალური მაცივარ-კონტეინერი, რომლის ტევადობა, საშუალოდ, 20 ტონაა. პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ 2015 წლის მარტში დაიწყო.

პროექტის მიზანია, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამმუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

# ბაბუის სასიმღერო ტრადიციების ერთგულებით



შეიძლება არც კი დაიჯეროთ: ქვედა ბახვის საჯარო სკოლის მეათეკლასელი მოსწავლე ირაკლი ნიკოლაიშვილი უკვე საკმაოდ აღიარებული მოკრიმანჭულეა, რომელსაც ამ რანგში ხალისით და სიხარულით იწვევენ ხოლმე ამა თუ იმ საკონცერტო ნომერში მონაწილეობისთვის...

ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ ტერმინი „კრიმანჭული“ განმარტებულია, როგორც თავისებური და მიმოქცეული მაღალი ხმა გურულ გურულ სიმღერებში.

თუკი ნაუცბათევად გადავავლებთ თვალს ამ ბიჭუნას მიერ სასიმღერო სფეროში მიღწეულ წარმატებებს, თავდაპირველად ეგებ არც კი დაიჯეროთ, რომ ყველა ეს ტიტული ამ ყმაწვილს ეკუთვნის (!)... თავად განსაჯეთ: არის არაერთი საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის ლაურეატი და გამარჯვებული.

ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ბაბუის უბადლო სასიმღერო ტრადიციებისადმი საშური ერთგულებით...

აი თუნდაც ფოლკლორის მე-11 საერთაშორისო ფესტივალის „ოქროს დელფინი-2012-ის “ გამარჯვებულის ტიტული რად ღირს...

ანდა, რესპუბლიკური ფოლკლორული ფესტივალის „ოქროს ტალღის“ ლაურეატობა და 2012 წ. აქ მოპოვებული ოქროს დიპლომი; მრავალდარგოვან ფირმა „ეგრისის“ ეგიდით, რესპუბლიკური ფესტივალზე „ჩემი ხატია სამშობლო“ მინიჭებული პირველი ადგილი და კიდევ სხვა მრავალი ანალოგიური ტიტული...

ნიჭიერმა ნორჩმა შემსრულებელმა ასევე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება სხვადასხვა საერთაშორისო სასიმღერო ღონისძიებასა და დღესასწაულში მონაწილეობით საქვეყნოდაც გაითქვა სახელი... ასევე გახდა საეკლესიო პოლიფონიური (მრავალხმოვანი) ფესტივალის უკონკურენტო გამარჯვებული...

როგორც წესი, უაღრესად ნიჭიერ ყმაწვილს ყოველთვის ოქროს ლაურეატის ტიტულს და „გრან-პრის“ ანიჭებდნენ...

შეგირდის ესოდენი წარმატება ძალიან ახარებს საქვეყნოდ განთქმულ ლოტბარსა და მომღერალს ტრისტან სიხარულიძეს, რომელსაც ფრიად ეიმედება შეგირდის ნიჭიერების და სამომავლო პერსპექტივის. ირაკლის შემოქმედებით ნიჭიერების შესამკობად დითირამბები არ დაიშურეს საქვეყნოდ განთქმულმა ლოტბარმა მამუკა რუსიძემ და მოსწავლე-ახალგაზრდობის სარეაკრიაციო დაწესებულებათა განყოფილების უფროსის მოადგილემ კობა ბანძელაძემ...

ვიდრე ირაკლის ვესაუბრებოდი, ბიჭუნამ გონებაში ექსპრომტად სტროფიც კი აკინძა, რომელიც მისმა უფროსმა დაიკომ დიანამ ჩაიწერა და იმ დღეს ერთგვარი სიამყითაც კი გაგვაცნო:

„ირაკლი ვარ ბახველი,
არავინ მყავს მზახვრელი,
მიყვარს ფიშტო, შეძახილი
და ბაბუას მოძახილი“...

არაერთი საეკლესიო პოლიფონიური ფესტივალის ოქროს ლაურეატი და „გრან-პრის“ არაერთგზის მფლობელი...

სულ ახლახან კი, კერძოდ, 8 ივლისს, ლანჩხუთში მდებარე ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში ჩატარდა „არტგენის“ ფოლკლორული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა ოზურგეთის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი „ვახტანგური“. ანსამბლმა შეასრულა გურული ხალხური სიმღერა „ფერხული“.

ანსამბლის ხელმძღვანელის, აქ უკვე ნახსენები ცნობილი ლოტბარის მამუკა რუსიძის მიუკერძოებელი შეფასებით, ამ ხალხურ სიმღერას თავისებური ელფერი შეჰმატა ირაკლის მიერ ერთობ შთამბეჭდავად შესრულებულმა კრიმანჭულმა.

გურული სასიმღერო ხელოვნების კორიფედ აღიარებულმა ლოტბარმა საგანგებოდ გაიხსენა „საქართველოს ბულბულად“ აღიარებული ჰამლეტ გონაშვილის მიერ თავის დროზე სამაგალითოდ მონაყოლი ისტორია, რომელსაც ის თვითონ ჰყვებოდა ხოლმე (სულმნათი ჰამლეტი იყო არამხოლოდ მომღერალი, არამედ უწინარესად, უაღრესად განსწავლული და მოაზროვნე პიროვნება... ამასთანავე, ატარებდა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის საპატიო წოდებას)... მის მაგალითზე ბატონი მამუკა თავის რჩეულ შეგირდს ხაზგასმით მოუწოდებს ხოლმე ბეჯითი სწავლისა და შრომა-გარჯისაკენ; სხვებსაც სთხოვს ხოლმე მორალურად წაახალისონ მოსწავლის ესოდენი ენთუზიაზმი...

აქ ბარემ ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლიმ სწავლაშიც გამოიჩინა თავი, მეტადრე მათემატიკაში (ასევე სხვა საგნებშიც) და ამ დისციპლინაშიც არაერთი ფრიადი დაიმსახურა... ერთხელაც კრივმა გაიტაცა და მოკრივის ხელთათმანებიც მოირგო; იმხანად კონკურსის „გურიის ვირტუოზების“ ნომინანტიც გახდა... ასევე ყურადღება მიიპყრო ნომინაციაში „მე ვკითხულობ ვეფხისტყაოსანს“...

სასიქადულო გურული კლასიკოსი ნოდარ დუმბაძე გურიას სიცოცხლის სამოსახლოდ მოიხსენიებდა. დიდი გაბრიელ ეპისკოპოსის მშობლიური სოფელი ბახვი ყოველთვის წარმოადგენდა ღირსეულ შვილთა აკვანს და არწივთ საბუდარს... ვის არ გააოცებს გურული სიმღერების პოლიფონია, ლირიკა, იუმორი.

სწორედ ამ ძვირფასი საუნჯის ქომაგია ბატონი გიორგი ნიკოლაიშვილი (მას შინაურულად თამაზი ჰქვია), რომელსაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სიმღერის სიყვარული ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი.

მან წარჩინებით დაამთავრა გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აღნიშნული 1958 წელს აგრონომის კვალიფიკაციით. იგი თითქმის ოთხი ათეული წელიწადია ამ მადლიან და კურთხეულ საქმეს ემსახურება და ომახიანი ხალხური სიმღერებით მადლიერ თანასოფლელებს მხნეობას და მომავლისადმი რწმენას ჰმატებს.

მისი ოცნება პატარაობიდანვე მომღერლობა იყო. 1975 წელს კი დაამთავრა საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების იმჟამინდელი მახარაძის რაიონის გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი ერთდროული ოთხწლიანი სკოლის სრული კურსი და მიენიჭა გურული სიმღერების ლოტბარის წოდება. ...და სოფლის ორღობეებში ახლაც ხშირად გაისმის მხიარული „აგუნა“, „მრავალჟამიერი“, „ხასანბეგურა“, „კრიმანჭული“...

აქ ასევე უსათუოდ უნდა ითქვას ოზურგეთის მუნიციპალურ კულტურის ცენტრთან არსებულ ანსამბლ „ვახტანგურის“ შესახებ, რომელიც თავის დროზე საქვეყნოდ განთქმული ლოტბარისა და მომღერლის, - ტრისტან სიხარულიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა. ასევე, ანსამბლების: „შვიდკაცასა“ და „იადონის“ სასიმღერო- შემოქმედებით მოღვაწეობაზე.

საგაზეთო ფორმატის გათვალისწინებით, აქ უპრიანია ირაკლის სასიმღერო პერსპექტივაზე საუბარი სამერმისოდ გადავდოთ და ნიჭიერი ყმაწვილის შემოქმედებით აღმასვლას დაველოდოთ...

**ნუკრი ბახველი.**

# როგორ „მოვატყუოთ“ კიბო?

## ნობელის პრემიის ლაურეატების აღმოჩენის განმარტება 100 და 500 სიტყვით

ჯეიმს ალისონისა და ტასუკუ ხონ-ძიოს მიერ შემუშავებულმა მკურნალობის მეთოდიკამ „ძირეულად შეცვალა კიბოთი დაავადებული რამდენიმე ჯგუფის პაციენტებისადმი მიდგომა“ — ნათქვამია ნობელისტთა კომიტეტის გადაწყვეტილებაში. რაში მდგომარეობს ამ აღმოჩენის არსი?

ნობელის პრემია მედიცინის დარგში მიიღეს ამერიკელმა ჯეიმს ალისონმა და იაპონელმა ტასუკუ ხონძიომ სიმსივნურ დაავადებათა იმუნოთერაპიაში თ-უჯრედის გამოყენებით რევოლუციური მეთოდიკის შემუშავებისათვის.

ნობელისტთა კომიტეტის გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ „ამ ორი ლაურეატის ეპოქალური აღმოჩენა გახდა კიბოსთან ჩვენი ბრძოლის გადატრიალების პუნქტი“.

**BBC**-ის რუსეთის სამსახური მოკლედ (100 სიტყვა) და რამდენადმე დაწვრილებით (500 სიტყვა) განმარტავს ამ რევოლუციური აღმოჩენის არსს.

### ისტორია 100 სიტყვაში კიბოს მოტყუება

ჩვეულებრივ ჩვენი იმუნური სისტემა ორგანიზმში თავისთავად ეძებს მუტირებული უჯრედების მოძრაობის ადგილს და არღვევს მათ, არ აძლევს გამრავლების საშუალებას. მაგრამ კიბოს უჯრედებმა ნახეს ამ ბუნებრივი დაცვის გადალახვის ხერხი, რაც სწრაფი ზრდის შესაძლებლობას იძლევა, კიბოს მრავალი სახეობა აკეთებს ამას, აქტივირებული მექანიზმი ჩვეულებრივ „აწყნარებს“ ან „ამუხრუჭებს“ იმუნურ უჯრედებს შეტევის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ჯანმრთელ ორგანიზმში რეგულირდება ძალა და იმუნური პასუხის ხანგრძლივობა.

ალისონმა და ხონძიომ ისწავლეს კიბოს უჯრედების „მოტყუება“ და არ მისცეს მათ იმუნური რეაქციის ბლოკირების საშუალება. ამან გამოიწვია თერაპიაში ნამდვილი რევოლუცია და ახალი კლასის სამკურნალო პრეპარატების დანერგვა.

ჯერჯერობით ამ წამლებს აქვთ არც ისე მცირე გვერდითი მოვლენები, მაგრამ მათ დაამტკიცეს თავიანთი ეფექტურობა ონკოლო-გიასთან ბრძოლაში. ზოგჯერ ხერხდება გვიან სტატიაში მყოფი ისეთი პაციენტების გადარჩენა, რომლებიც ადრე მკურნალობას არ ექვემდებარებოდნენ.

### ისტორია 500 სიტყვაში „მუხრუჭების რემონტი“

იმის შესახებ, რომ კიბოსთან ბრძოლაში შეიძლება მობილიზდეს თვით პაციენტების იმუნიტეტი, მეცნიერები პირველად ჯერ კიდევ 100 წელზე მეტი ხნის წინათ დაფიქრდნენ, მაგრამ ნამდვილი გარღვევა ამ სფეროში მხოლოდ 1990-იან წლებში მოხდა.

ამერიკელმა ჯეიმს ალისონმა გახსნა ე. წ იმუნური მაკონტროლებელი წერტილები (იმწ) — ჩვენი იმუნიტეტის დამმუხრუჭებელი ბუნებრივი მექანიზმი, იგი „ამშვიდებს“ თ-ლიმფოციდებს, რომლებიც პასუხისმგებელია სხვადასხვა მუტირებული უჯრედის მუშაობასა და განადგურებაზე.

თუ ეს მექანიზმი დარღვეულია, მაშინ ორგანიზმი იწყებს თვითდაშლას, მასში ჯანსაღი ქსოვილების განადგურებით, ასე ხდება, მაგალითად, აუტოიმუნური დაავადებებისას.

მეცნიერთა რამდენიმე ჯგუფი მაშინვე ჩაეჭიდა ამ პერსპექტივას: „მუხრუჭების რემონტი“ გამოყენებულ იქნა დიაბეტის, რევმატიული ართრიდის, გაფანტული სკლეროზისა





და სხვა დაავადებების წინააღმდეგ.

თვით ალისონი დაკავდა ამ საქმით. მან მოსინჯა გამოერთო ეს ბუნებრივი მაბლოკირებელი მექანიზმი კიბოთი დაავადებულ თაგვებში — და მიაღწია შთამბეჭდავ შედეგებს. უჯრედებში არ დაქვეითებულა იმუნიტეტი და ორგანიზმი კიბოს ებრძოდა რამდენადმე ეფექტურად.

ამის პარალელურად 1992 წლიდან ტასუკუ ხონძიომ გახსნა იმწ-ის სხვა ტიპი, რომელიც მუშაობს იმავე პრინციპით, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული მეთოდით. იაპონელი პროფესორის კვლევას საფუძვლად დაედო ასევე იმუნოთერაპიის რამდენიმე მეთოდიკა.

**მიუხედავად საკმაოდ ძლიერი გვერდითი მოვლენებისა,, იმწ-ის დამმუხრუჭებელმა პრეპარატებმა აჩვენეს თავისი ეფექტურობა ფილტვის, თირკმლების კიბოს და მელანომას წინააღმდეგ ბრძოლაში.**

სან ხონძე, რომელსაც ძალიან უყვარს გოლფის თამაში, ყვება ერთ ისტორიას: ერთხელ გოლფის კლუბში მასთან მივიდა მამაკაცი და უთხრა, რომ დაავადებულია კიბოთი. „მან მადლობა გადამიხადა იმისთვის, რომ ხელახლა შეუძლია გოლფის თამაში, — იგონებს იაპონელი პროფესორი, — ეს იყო ნამდვილი ბედნიერება. ასეთი სამადლობელი ჩემთვის ყველა ჯილდოზე მნიშვნელოვანია“.

ამჟამად ჯეიმს ალისონი ხელმძღვანელობს კიბის წინააღმდეგ ბრძოლის იმუნოლოგიურ განყოფილებას ტეხასის უნივერსიტეტში. ტასუკო ხონძეს კი უჭირავს იმუნოლოგიის პროფესორის პოსტი კიეტოს უნივერსიტეტში.

**მათი კვლევების საფუძველზე შემოთავაზებული მეთოდიკით დამზადებულ პრეპარატებს წარმატებით იყენებენ ავადმყოფები კიბოს წინააღმდეგ.**

**და კიდევ ბევრი წამალი გადის კლინიკურ გამოცდას და ხელისაწვდომი გახდება უახლოეს წლებში.**

„ჯერ კიდევ 10 წლის წინათ მეტასტიზებული მელანომა იყო პრაქტიკულად განულურნებელი. ახლა, ალისონისა და ხონძეს აღმოჩენების წყალობით, პაციენტებს აქვთ რეალური იმედი. ყოველი მესამე პაციენტი აჩვენებს იმუნოთერაპიით ვადამდელ გაუმჯობესებულ შედეგებს, ხოლო რამდენიმე სავსებით განიკურნა“, — მოჰყავს რეიტერის სააგენტოს პროფესორ ჩარლი სუონტონის, კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ბრიტანული ორგანიზაციის **Cancer Research uk**-ის მთავარი ექიმის ციტატა.

### „ეპოქალური კვლევა“

ალისონის ყოფილმა კოლეგამ სერხიო კესადამ, ამჟამად ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა, ნახა ნობელის ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია ლაბორატორიის სხვა თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც შეკრებილი იყვნენ ნიუ-იორკში ონკოლოგიურ კონფერენციაზე.

„ალისონისა და ხონძეს სამუშაოები იმდენად ეპოქალური იყო, რომ მრავალი უკვე დიდი ხანი ელოდა, ბოლოს და ბოლოს როდის მიიღებდნენ ეს მკვლევარები ნობელს“, — ამბობს ის.

ეს თერაპია ყველას არ შველის, მაგრამ მან უკვე მრავალი სიცოცხლე იხსნა, — ასკვნის მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი დენ დეივისი, — მთავარია ის, რომ მან მოახდინა რევოლუცია ჩვენს გონებაში, როგორ შეიძლება დავამუხრუჭოთ, ან პირიქით გავააქტიუროთ იმუნური სისტემა სიმსივნური და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

**„მე ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ ევერესტის მწვერვალია. მრავალი წამალი (ამ პრონციპით დამზადებული), ჩვენ ჯერ კიდევ გამოსაცდელი გვაქვს“**, — ასკვნის ის.

მოამზადა **თემურ მარშანიშვილმა.**

წყარო: **BBC News**-ის რუსეთის სამსახური.

# გურიის სამთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა* **ვახტანგ გურულმა** *გამოსცა საქართველოს ახალი ისტორიის (1801-1918 წ.წ.) ოთხტომეულის პირველი ორი ტომი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გურიის მხარის ისტორიას.*

*წიგნი განკუთვნილია ისტორიის სპეციალობისა და ზოგადად ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებისთვის და მკითხველთა ფართო წრისათვის. იგი გამომცემლობა „მერიდიანში" დაიბეჭდა. გაზეთი „ალიონი" ექსკლუზიური უფლებით იწყებს აღნიშნული წიგნიდან ცალკეული თავების გამოქვეყნებას.*

XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგისათვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა **იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, აფხაზეთის სამთავრო, სვანეთის სამთავრო**. დე იურე იმერეთის მეფე სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროების უზენაეს ხელისუფლად — მონარქად ითვლებოდა, თუმცა პრაქტიკულად სამთავროები იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდნენ და მთავრები დამოუკიდებლად განაგებდნენ თავიანთ სამთავროებს. იმერეთის სამეფოსა და სამთავროებს შორის ვითარება ხშირად იმდენად იძაბებოდა, რომ საქმე ომამდე მიდიოდა. ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები გაჩნდათ სამთავროებსაც. ტერიტორიული დავა ვერ მოგვარდა სამეგრელოსა და გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს შორის. ცოტა მოგვიანებით ასეთივე კონფლიქტი დაიწყო იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს შორის. იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებს შორის არსებულ დაპირისპირებას კარგად იყენებდა რუსეთი.

### გურიის სამთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში

გურიის სამთავრო დე იურე იმე-რეთის სამეფოში შედიოდა და იმერეთის მეფე სამთავროს უმაღლეს ხელისუფლად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, გურიის მთავრები ხშირად ეურჩებოდნენ იმერეთის მეფეს, თუმცა სოლომონ II-ისა და გურიის მთავრების ურთიერთობა ისე არ დაძაბულა, როგორც სოლომონ II-ისა და გრიგოლ დადიანისა.

1. **გურიის სამთავრო XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს.** XVIII საუკუნის მიწურული და XIX საუკუნის დამდეგი გურიის სამთავროში ძლიერი შინაშლილობით აღინიშნა. 1792 წელს გარდაიცვალა მთავარი **სვიმონ III გურიელი.** ტახტის მემკვიდრე **მამია** სულ სამი წლისა იყო, რითაც ისარგებლა მისმა ბიძამ **ვახტანგმა** და მთავრის ტახტი დაიკავა. სვიმონ გურიელს ვახტანგის გარდა კიდევ ჰყავდა ვაჟი **ქაიხოსრო,** რომელიც ბერად იყო აღკვეცილი გელათის მონასტერში და შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად კურთხევისათვის ამზადებდნენ. ვახტანგ გურიელი ვერ გამოდგა კარგი მმართველი, რაც მაშინვე დაეტყო სამთავროს. ამიტომ იყო, რომ **ქაიხოსრო გურიელმა** უარი თქვა სას-ულიერო კარიერაზე და გურიაში დაბრუნდა. 1797 წელს ქაიხოსრომ ტახტიდან გადააყენა ვახტანგი და სვიმონ გურიელის ქვრივის, დედოფალ **მარიამის,** თანხმობით არასრულწლოვანი **მამია სვიმონის ძე გურიელის** რეგენტი გახდა. ქაიხოსრო გურიელმა შემოქმედის ციხე გაამაგრა და თავის რეზიდენციად აქცია. მთავრის ტახტიდან გადაყენებულმა ვახტანგ გურიელმა თავის ცოლისძმას, თავად **დიმიტრი ორბელიანს,** სთხოვა ქართლ-კახეთის სამეფოს დედოფალ დარეჯანთან ეშუამდგომლა, რათა ამ უკანასკნელს იმერეთის მეფე სოლომონ II-თვის ვახტანგ გურიელის ტახტზე დაბრუნება ეთხოვა. თხოვნამ შედეგი არ გამოიღო, ქაიხოსრო გურიელი განათლებული და ბევრი-ღირსებით შემკული ადამიანი იყო. სვიმონ გურიელი სიცოცხლის ბოლო ხანებში ავადმყოფობდა, რის გამოც სამთავროში შინაგანი წესრიგი მოი-შალა. **წარმოუდგენელი მასშტაბები მიიღო ტყვის სყიდვამ.** ტყვედ გაყიდვისაგან რომ თავი დაეხსნა, მოსახლეობა იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროში გარბოდა. ქაიხოსრო გურიელმა ენერგ-იული ზომები გაატარა ტყვეთა სყიდვის აკრძალვის მიზნით. არასრულწლოვანი მთავრის, **მამია V გურიელის,** სახელით შედგენილ დოკუმენტში აღნიშნულია: „გურიაში დიდათ ტყვის განსყიდვა იყო და მერმეთ ჩვენ ვინებეთ და იმერნი და გურიელნი სამღვდელონი და საერონი ერთად




შევკრბით და კრება ვქენით და ტყვის სყიდვა გადავაგდეთ."

ქაიხოსრო გურიელმა კრების დადგენილება დიდი სისასტიკით გაატარა ცხოვრებაში.

ტყვის მსყიდველებს საჯაროდ წვავდნენ კოცონზე, არ ინდობდნენ არც დიდგვაროვანსადა არც მდაბიოს. ქაიხოსრო გურიელმა აღკვეთა მთავრის მოხელეთა თვითნებობა.

2. **გურიის სამთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში.**

ქაიხოსრო გურიელს განსაკუთრებული ძნელბედობის ჟამს მოუხდა სამთავროს მართვა. სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ ოსმალეთი ყოველნაირად ცდილობდა, გურიის სამთავრო რუსეთის გავლენის სფეროდ არ ქცეულიყო. ოსმალეთი კარგად იყენებდა სამთავროში მიმდინარე შინაშლილობას. არ ცხრებოდა ქაიხისროს მიერ ტახტიდან გადაყენებული ვახტანგ გურიელი. ვახტანგი თავისი მცირეწლოვანი ძმის, **ლევანის,** მეურვე იყო. ლევან გურიელი სრულწლოვანი გახდა, მაგრამ ვახტანგმა მამული არ დაუბრუნა. ძმებს შორის დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო. ვახტანგმა ლევანის აზნაური **ბერეჟანი** შეაგულიანა, რომელმაც აჭარიდან რაზმი გადმოიყვანა და ლევანის მამულები ააოხრა. ამის შემდეგ ვახტანგმა საჯავახოს თემში ლაშქარი შეკრიბა და ლევანს მთელი მამული წაართვა. ქაიხოსრომ და ლევანმა მოილაპარაკეს და ვახტანგის შეპყრობა მოახერხეს. ვახტანგ გურიელს სოლომონ II გამოესარჩლა და ქაიხოსრო იძულებული გახდა ძმა ციხიდან გაეთავისუფლებინა. ვახტანგი ახალციხეში გაიქცა. ქაიხოსრომახალციხის ფაშა **სელიმ ხიმშიაშვილს** ვახტანგი შეაპყრობინა, მა-გრამ 1804 წლის დასაწყისში პაველ ციციანოვისა და სოლომონ II-ის თხოვნის შემდეგ სელიმმა ვახტანგი გაათავისუფლა. ვახტანგ გურიელი ჯერ თბილისში ციციანოვს ეახლა, ხოლო შემდეგ — სოლომონ II-ს. იმერეთის მეფემ ქაიხოსრო გურიელი აიძულა, ვახტანგისათვის საბატონ-იშვილო ყმა-მამული მიეცა..

რუსეთის იმპერიის ქვეშევ-რდომობაში შესვლის თაობაზე სოლ-ომონ II-სა და პაველ ციციანოვს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების პროცესში იმერეთის მეფე ითხოვდა, რომ **რუსეთს სამეგრელოსა და გურიის მთავრები იმერეთის მეფის ქვეშევრდომებად ეცნო და სამთავროების რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლა იმერეთის სამეფოსაგან დამოუკიდებლად არ მომხდარიყო.** სოლომონ II-მ ციციანოვს განუცხადა: „გურია დამოკიდებულ არს იმერეთსა ზედა." ციციანოვმა მეფის განცხდების თავის სასარგებლოდ გამოყენება სცადა. რუსეთის ხელისუფლებას საქმე მთავრის ტახტისათვის მებრძოლმა ვახტანგ გურიელმა გაუადვილა. 1804 წლის 3 იანვარს ვახტანგ გურიელმა წერილი მისწერა ციციანოვს და რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღება ითხოვა. მთავრის ტახტის მაძიებელი წერდა: შავი ზღვის ნავმისადგომების (სუფა, გრიგოლეთი) მფლობელი თავადი ნაკაშიძეები მე მემხრობიან და თუ რუსეთი ამ ნავმისადგომებს შეიძენს, დიდ სარგებლობას ნახავსო. იმხანად თავადი ნაკაშიძეები მარ-თლაც ვახტანგ გურიელს უჭერდნენ მხარს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ქაიხოსრო გურიელი ცოლს, ნაკაშიძის ქალს, გაეყარა და გურიის ერისთავთა საჯავახოს შტოს დაუმოყვრდა — ცოლად შეირთო ქაიხოსრო ერისთავის ასული **ელისაბედი.** ცხადია, ვახტანგ გურიელსა და თავად ნაკაშიძეებს უფლება არ ჰქონდათ სამთავროს სახელით რუსეთის ხელისუფლებისათვის ქვეშევრდომობაში შესვლა ეთხოვათ, მაგრამ ციციანოვი შექმნილ ვითარებაში ამას ყურადღებას არ აქცევდა. მართალია, საქართველოს მთავარსარდალს საქმისათვის მსვლელობა არ მიუცია, მაგრამ ვახტანგ გურიელისა და თავად ნაკაშიძეებისათვის უარიც არ უთქვამს და მათი წერილიც თავისთან დაიტოვა.

ქაიხოსრო გურიელი მიხვდა, რომ გურიის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა შეიძლებოდა მის გარეშე გადაწყვეტილიყო. ამიტომ იყო, რომ ქაიხოსრომ მთავრის, **მამია V გურიელის,** სახელით ოფიციალურად ითხოვა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლა. ეს თხოვნაციციანოვმა კარგად გამოიყენა და **1804 წლის 25 აპრილს სოფელ ელაზნაურში რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში იმერეთის სამეფოს შესვლასთან დაკავშირებით გაფორმებული დოკუმენტის მიხედვით, გურიის სამთავრო, როგორც იმერეთის სამეფოს ნაწილი, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესულად გამოცხადდა.** ციციანოვმა ელაზნაურის მოლაპარაკებაზე პირდაპირ განაცხადა: გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოს ნაწილია, რის გამოც მასთან ცალკე აქტის გაფორმება საჭირო აღარ არისო. 1804 წლის 29 მაისს ციციანოვმა მამია V გურიელს ოფიციალურად აცნობა, რომ გურიის სამთავრო, როგორც იმერეთის სამეფოს ნაწილი, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში იყო შესული.

გურიის სამთავროს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგ გურული ცალკე აქტით არ გაფორმებულა და ეს საკითხი გურიის ხელისუფლებასთან (მთავარ მამია V გურიელთან, სამთავროს ფაქტობრივ გამგებელ ქაიხოსრო გურიელთან) არ შეთანხმებულა, რაც შემდეგში ვითარების გართულების მიზეზად იქცა. გურიის მთავარი აცხადებდა, რომ სამთავროს დამოკიდებულება იმერეთის სამეფოზე ძალადობრივი იყო. ამის გამო იგი მიიჩნევდა, რომ **რუსეთის იმპერატორს არ შეეძლო, გურია ქვეშევრდომობაში მიღებულად ჩაეთვალა.**

**გურიის სამთავროს ქვეშევრ-დომობაში მიღება რუსეთის საიმპერატორო კარმა შექმნილ ვითარებაში ნაჩქარევად გადაწყვიტა. ქვეშევრდომობაში მიღება იურიდიული თვალსა-ზრისით გაუმართავი იყო, რაც გურიის მთავრის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. გურიის სამთა-ვროს რუსეთის იმპერიის ქვეშე-ვრდომობაში შესვლა მოგვიანებით მეორედ მოხდა.**

(თავი VIII. იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის

სამთავროების შესვლა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში (1803-1810 წწ.) გვ. 167, 185-187)

**(გაგრძელება იქნება)**

# ვაშნარში არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს

**მერაბ ძნელაძე:** - ეს ძეგლი რომ ჰქონოდა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას, მას ხელისგულზე დადებდა. მეოთხე საუკუნის ასეთი ძეგლი იშვიათია და ის გამოსაკვლევი და მისახედია.

გურიანთა-ვაშნარის მეოთხე საუკუნით დათარიღებულ ნაქალაქევზე არქეოლოგიური- გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს აწარმოებს არქეოლოგიური ექსპედიცია ბატონების ვაჟა სადრაძისა და მერაბ ძნელაძის ხელმძღვანელობით. არქეოლოგებს გვერდით უდგას სოფლის მოსახლეობა, გურიანთელი დავით კვაჭანტირაძის თქმით, სოფელი მზადაა თუ არქეოლოგები საჭიროდ ჩათვლიან მათ მოხალისედ იმუშავონ.

სამუშაოები მოინახულა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა კონსტანტინე შარაშენიძემ. მან მაქსიმალური დახმარება აღუთქვა მკვლევარებს:

**კონსტანტინე შარაშენიძე:** „ - ვაშნარის ნაქალაქარი არის უნიკალური ისტორიული ძეგლი, რომელსაც საქარ-თველოში ანალოგი არ მოეპოვება. მიმაჩნია, რომ საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა იცოდეს ვაშნარის ისტორიისა და უნიკალურობის შესახებ. ჩვენ მზად ვართ სამუშაოების სრულფასოვნად ჩატარებისთვის მაქსიმალური რესურსი გამოვიყენოთ, ვგეგმავთ მთლიანი პერიმეტრის შემოსაზღვრას". პროფესორები, ბატონები ვაჟა და მერაბი ძეგლის მნიშვნელობასა და მდგომარეობაზე გვესაუბრებიან.

**ვაჟა სადრაძე,** *არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი:* -1949 წლიდან, ამ ტერიტორიაზე ჩაის ფაბრიკის მშენებლობისას დაზიანდა უნიკალური ისტორიული ძეგლი. ფაქტობრივად, ნაქალაქარი, რომლის სადარი დასავლეთ საქართველოში არ არსებობს. მას თავისი მნიშვნელობით ციხეგოჯი უახლოვდება.

გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური ექსპედიცია და აღმოჩნდა მარტირიუმი- წმინდანის, წამებულის საპატივცემულოდ გამართული განსასვენებელი, ნაგებობა ორმაგი კედლით და 20 მეტრის სიგრძის სამნავიანი ბაზილიკა, რაც ადასტურებს, რომ ეს ტეროტორია მძლავრი ნაქალაქარის ნაშთია.

პირველად ეს ტერიტორია დაათვალიერა დიუბუა დე მონტერემ, მან ეს მიიჩნია პეტრად, პეტრეს ტაძრად, შემდეგ დიმიტრი ბაქრაძემ ბაზილიკა აუზად ჩათვალა, თუმცა გალავანს მიაქცია ყურადღება, 1972 წელს ბათუმის ექსპედიცია მუშაობდა.

ნაქალაქარი მეოთხე საუკუნით თარიღდება, ამ დროს რომის იმპერიაში, ბიზანტიაში ცხადდება ოფიციალურ რელიგიად, სირია-პალესტინაში იწყება სამონასტრო ცხოვრება და უცნაურია, რომ ამავდროულად აქაც იწყება ეს პროცესები.



თითქოს ამას ხსნის დიუბუა დე მონტერეს ინფორმაცია, რომლის მიხედვით, ნაქალაქარის გალავნის გარეთ, ერთ უბანში ცხოვრობდნენ ურიები ანუ ებრაელთა დიასპორა, რომელიც ავრცელებდა ქრისტიანობას. სხვაგვარად აქ უზარმაზარი ბაზილიკისა და მარტირიუმის არსებობა აუხსნელია, რომლის ანალოგი ჩვენ საქართველოში არ გვაქვს. მარტირიუმში რამდენიმე ნეშტი დაადასტურეს 1949 წელს. ისწარმოადგენდა 4-5 მეტრ ორსართულიან ნაგებობას, კვარცლხბეგით და ამოსავლელით. ქალაქის გალავანი აქედან 200 მეტრშია, რომელიც მე-6 საუკუნეში შეამცირეს და გააკეთეს გალავნის კოშკები, გალავნის შიგნით გააკეთეს ციტადელი.

ახლა მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები, დაფიქსირდება ყველა კოორდინატი და სტაციონალური გათხრები დაიწყება.

გრანდიოზული ნაქალაქარია, რომლის შესწავლას სჭირდება სოლიდური ფინანსები, რასაც ცალკეული სტუქტურები ვერ შეძლებენ. საჭიროა თანხის მოძიება. აუცილებელია შემოღობვა უკვე გაკეთებულის შესანარჩუნებლად. ეს ალბათ არის რეგიონის შესაძლებლობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება ძეგლის დაზიანება.

**მერაბ ძნელაძე,** *არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:* — 1992 წელს ბატონ ვაჟასთან ერთად დავაარსეთ „გურიის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია". ვსწავლობთ გურიის არქეოლოგიურ ძეგლებს. მათ შორის გამორჩეულია ვაშნარის ნაქალაქარის უნიკალური ძეგლი, საქართველოში იშვიათია ასეთი ძეგლი. ეს უდიდესი ნაქალაქარია.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დაფინასებით ჩვენ ვასრულებთ ძეგლის გასუფთავების სამუშაოებს მისი წარმოჩენისათვის. სამწუხაროდ, ვაშნარი, რომელიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლია, არ არის სათანადოდ მოვლილი.

ჩვენი მთავარი მიზანია გავაცოცხლოთ ნაქალაქარის საკითხი, ტაძრის კონტურები წარმოვაჩინოთ, ამას სჭირდება სერიოზული მიდგომა, პირველ რიგში გურიის ხელისუფლებისა და მოსახლეობის მხრიდან. ეს ძეგლი რომ ჰქონოდა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას, მას ხელისგულზე დადებდა. მეოთხე საუკუნის ასეთი ძეგლი იშვიათია და ის გამოსაკვლევია.

ისე მაინც გავაკეთოთ ამჯერად, რომ საქონელი მაინც არ დადიოდეს, დაცული, შემოღობილი იყოს. სოფელი გვიდგას გვერდით. ეს მარტო გურია არ არის, ეს საქართველოა, კოლხეთი, შავიზღვისპირეთი, ნატანები....ძალიან ფართო კუთხით შეიძლება დაინახო პატარა სოფლის ამ დიდი ძეგლის წარსული.

სამუშაოებისას გამოჩნდა ახალი დეტალები, ძეგლის სრულად შესწავლას სჭირდება შრომა, დრო, ფინანსები.

ძეგლი საინტერესოა ტურიზმის თვალსაზრისითაც. მგონია, რომ ეს ნაქალაქარი, სკურდუმისა და ნატანების ხერთვისში მდებარე, შეუერთდება ნატანების იმ სტურქტურას, რომელიც ჩადის ზღვაში. ადრე აქ ნავები ამოდიოდა ზღვიდან. შეიძლება ტურისტული მარშრუტის მოწყობა. შეიძლება აქედან ნატანების ზღვამდე მისვლა, საგანმანათლებლო კულტურული დასასვენებელი ცენტრის შექმნა. აქ შეიძლება კოტეჯების დადგმა, გარშემო სამოთხეა. ჩვენ გვჭირს ასეთი სენი, სამოთხეს ხან ჯოჯოხეთად ვაქცევთ ხოლმე. გურიისათვის, სოფლისათვის იქნება ძალიან კარგი მოვლენა აქ ცენტრის შექმნა.

იმედს ვიტოვებ, რომ ეს კომპლექსი შეუერთდება შავიზღვისპირეთის კომპლექს და ეს იქნება სამეცნიერო-ტურისტული ცენტრი.

# ეკოკლუბები დამეგობრდნენ



დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის ეკოკლუბი „Nature"-ს წევრები, ოზურგეთის 170 წლის №1 საჯარო სკოლას ესტუმრნენ, მიზანი ამ შეხვედრისა სკოლების დამეგობრება, გამოცდილების გაზიარება, ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2019-ში ჩართვა გახლდათ. დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის ეკოკლუბის ხელმძღვანელმა და ეკოსპიკერმა საინტერესოდ მიაწოდა მეგობრებს ინფორმაცია ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის შესახებ. ყურადღება გაამახვილეს იმ ძირითად მიმართულებებზე და განსახორციელებელ აქტივობებზე რაც გარემოსადმი მეგობრულ და მზრუნველ დამოკიდებულებას ითვალისწინებს. მოსწავლეებმა ერთად იმსჯელეს ეკოლოგიურ პრობლემებზე, რაც დღეს ყველას აწუხებს, დასახეს გეგმა ერთად განსახორციელებელი აქტივობებისა, დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის ეკოკლუბის სამოქმედო მიზანია ხელი შეუწყოს სხვა სკოლების ჩართვას ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში, სასიხარულოა, რომ ოზურგეთის 1 საჯარო სკოლის „ეკოკლუბ ოლიმპოს" სახით გურიის რეგიონს კიდევ ერთი გარემოზე მზრუნველი და ბუნებაზე უზომოდ შეყვარებული ეკოკლუბი შეემატა, რომელსაც სათავეში გეოგრაფიის პედაგოგი სკოლის დირექტორი მაია თავართქილაძე ჩაუდგა. დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის ეკოკლუბის წევრებმა ოზურგეთის 1 საჯარო სკოლის ახლადშექმნილ ეკოკლუბის წევრებს წარმატებები უსურვეს და საჩუქრად „ჩემი მიზნების წიგნი"', „მეტყევის დღიური" და „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის პლაკატი " გადასცეს.

# გურამ ქავჟარაძეს იმედი აქვს, რომ მალე „ქუხნიდან" ოდაში გადაინაცვლებს



პაპარაცი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ზოგჯერ მქონია ისეთი შემთხვევა, ტიპაჟი მომწონებია და შეუკითხავად, უნებართვოდ გადამიღია. ასე მოხდა ამ ფოტოს შემთხვევაშიც – 3 ოქტომბერს, როდესაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობიდან გამოვედი, „ზებრა" გადმოვკვეთე და კულტურისა და დასვენების პარკთან ოთხმოც წელს მიტანებულ, კარგად გამოწკეპილ, საოცრად მკვირცხლ, სანდომიანი სახის კაცს გადავაწყდი, ახალგაზრდებს ეხუმრებოდა რაღაცას.

– გურამი ვარ, ქავჟარაძე, ლიხაურელი, ყოფილი ფეხბურთელი, მორბენალი და მომღერალი – სხაპასხუპით გამეცნო და აქეთ მკითხა, რატომ გადამიღე, თქვენ ვინ ბრძანდებითო?

ვუთხარი, ვინც ვიყავი. სოციალურ სამსახურში მიდიოდა, მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოეშვათ, ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ ცნობის ასაღებად.

„სოციალურ დახმარების აღების პრობლემა არ მაქვს. სარეიტინგო ქულის შესახებ ცნობა მერიაში მომთხოვეს. საქმე ისაა, რომ შარშან ოდა დამეწვა და მთელი ოჯახი – ვაჟი, რძალი, ორი შვილიშვილი და მე დღემდე „ქუხნაში" ვართ შეხიზნული. სახურავი ცოტა ხნის წინ გამომიყვეს, ახლა საშენ მასალაზე – ბლოკსა და კოჭებზე ვითხოვე დახმარება. მერთან შევედი პირდაპირ, შემპირდა,ააშენებს ღმერთი, კაცია და იმედი მაქვს სიტყვას არ გატეხს. თუ ამ შემოდგომაზე „ქუხნიდან" ოდაში გადავინაცვლე, დაგირეკავ და მესტუმრე, თუ ისე მოხდა, რომ ვერ შევედი, მაშინ შენი სტუმარი ვიქნები.", – ტელეფონის ნომერი მთხოვა, ხელი მაგრად ჩამომართვა და ხალისიანად დამემშვიდობა.

**თემურ მარშანიშვილი**

# ლიხაურელები გურიის რეგიონალური სამოყვარულო ლიგის გამარჯვებულნი

**ალიონი.** ერთ თვეზე მეტია მიმდინარეობდა გურიის რეგიონალური სამოყვარულეო ლიგის ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ: ლიხაურის, ბახვის გუნდები (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი); „აცაურა"( ლანჩხუთი); „გაგური," „საჭამიასერი" (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი).

ლიხაურელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველა მატჩის (10 შეხვედრა) მოგება შეძლეს, ბოლო ტურის გადამწყვეტ ბრძოლაში ლანჩხუთში „აცაურას" (5:1) სძლიეს და ჩემპიონები გახდნენ. „აცაურა"22 ქულით მე-2 ადგილზეა. მე-3 საპრიზო ადგილზე ბახვის გუნდი გავიდა, რომელმაც ბოლო ტურში კონჭკათის გუნდს 3:0 სძლია. ბახველებმა 16 ქულა მოაგროვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიხაურელებს გვერდით ედგა სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები (ვანო ვაშაყმაძე) და მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი თოიძე.

ვულოცავთ ლიხაურელებს ამ გამარჯვებას.

# სკანვორდი




## № 37-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - გურამ თუშიშვილი; მწუხრის შეძახილი - უიმე; წერილი - წიგნი; თხელი კანი - გარსი; ქალის სახელი - როენა; ხმელი ბალახი - თივა; მამაკაცის სახელი - ირაკლი; პეპელა - ფარვანა; საბრძოლო იარაღი - კეტი; ადმინისტრაციული ერთეული - მუნიციპალიტეტი; ბამბის ქსოვილი - ნარმა; კურცხალი - ცრემლი; აბორიგენი ამერიკელი - იანკი; პირდაპირი - ლაივი; ეშხი - შარმი; ინგლისელი კლასიკოსი - თეკერეი; სოფელი ფოთთან ახლოს - ჭალადიდი; მობიბინე პურის ყანა - ოლოყლერი; სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში - შუშანეთი; საწვავი მერქანი - შეშა; პატარა ყუთი - კოლოფი; მოლექსე - პოეტი; სამკურნალო ბოსტნეული - ნიორი; ქართველი წმინდანი - ილია; ტკბილეული - შოკოლადი; დაღესტნელი დიდებული - ნოინი; სია, ჩამონათვალი - დოსიე; თბილისის ზღვის მკვებავი მდინარე - იორი; ტაბლეტი - აბი; ნამუსი - სინდისი; მუსიკალური ინსტრუმენტი - თარი; რუსი მსახიობი, იუმორისტი - რაიკინი; სოფელი სტეფანწმინდაში - კობი; ეროვნება - ოსი; მოწონება - იფ; განსაზღვრული მარშრუტი - რეისი; ფილიპინების დედაქალაქი - მანილა.

# გურიის სამედიცინო და კულტურული ტურიზმი



## ურეკი

ურეკი თალასოთერაპიული (ზღვისპირა) სპა კურორტია. ურეკის ისტორია შორეულ წარსულში იწყება. იგი უძველესი დროიდან დასახლებული პუნქტი იყო მდინარე სუფსის შესართავთან, სადაც აღმოჩენილია შუა ბრინჯაოს ხანის განძები, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის XV-III-XVII საუკუნით თარიღდება. ასევე ზღვისპირა დიუნებში ნაპოვნია გვიან ანტიკური ხანის ნივთების განძი, რომელიც შეიცავდა III საუკუნის დასასრულისა და IV საუკუნის დასაწყისის სამარხეულ ინვენტარს.

სახელწოდება ურეკის შესახებ არსებობს ლეგენდა, რომ ურეკი ნიშნავს ტყიან, გაუვალ ადგილს, სადაც მონადირეებს უჭირდათ ნადირობა.

1929-1930 წლებში ურეკში გაშენდა ციტრუსების მეურნეობა. 1944 წლებიდან დაიწყო მაგნეტიტის მოპოვება. მაგნეტიტი ნიშნავს მაგნეტიტური რკინის შემცველ სილას, რომლის დიდი საბადო არის მდინარე ნატანებსა და სუფსა შორის. აქედან წარმოდგება დასახლებული ადგილის სახელი. მაგნეტიტი მდებარეობს მდინარე კუჩხის აბაშისა და სეფას შორის, სიგრძე 2-2,5 კილომეტრია, სიგანე - 500--600 მეტრი.1944 წელს დაიწყო მაგნეტიტის მოპოვება.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ურეკი და მთელი მისი შემოგარენი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ურეკის ტყვეთა ბანაკში (1944 წლიდან აქ იყო გერმანელ ტყვეთა ბანაკი, ტყვეები ნიჩბებით ვაგონებში ყრიდნენ მაგნიტურ ქვიშას რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის) მოხვდა გერმანელი მეცნიერი ერიხ ფონ ანდერე, რომელმაც მოახერხა თავისი სახელისა და რანგის დამალვა. ერიხ ანდერეს ჰქონდა გულსისხლძარღვთა დაავადება და მძიმე ართრიტი ტანჯავდა. მან შეამჩნია, რომ დაავადებული ძროხები ცდილობდნენ სანაპიროზე მისულიყვნენ და მაგნიტურ ქვიშაში ჩაწოლილიყვნენ. ერიხმა ცხოველებს მიბაძა და თვითონაც წვებოდა სილაში. გარკვეული დროის შემდეგ შეამჩნია, რომ ტკივილები თანდათან მოეხსნა. ამის შემდეგ გერმანელი არისტოკრატი სტალინს წერს წერილს (ანდერე მსუბუქი რეჟიმის ბანაკში იმყოფებოდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ სამხედრო ტყვეებს შეეძლოთ მოსახლეობასთან ურთიერთობა, ისინი თავიანთ ნაკეთობებს მოსახლეობას უცვლიდნენ პურსა და სხვა საკვებ პროდუქტებში). ფონ ანდერე წერილს აძლევს ბიჭს ბათუმ-მოსკოვის მატარებლის გამცილებლისათვის, წერილი ხვდება სტალინთან. ერთი თვის შემდეგ ურეკში კრემლის უმაღლესი კომისია ჩამოდის

რა ეწერა წერილში? ერიხ ფონ ანდერე საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს წერდა: საბჭოთა კავშირის მიერ მაგნიტური სილის მეტალურგიული კომბინატისათვის ნედლეულის სახით გამოყენება იგივეა, ბარაკები ოქროს უნიტაზით რომ აღჭურვოთ, რომ უნიკალური სილა, შავიზღვისპირეთის კლიმატურ პირობებთან ერთად, სსრ კავშირის საშუალებას აძლევს, ურეკში სრულიად განსაკუთრებული კურორტი შექმნას, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ არსებობს“.

1949 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილება. მიიღეს გადაწყვეტილება ფოთიდან ქობულეთამდე საკურორტო ზონის განვითარების თაობაზე. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თავიანთი საქმიანობის სფერო შეცვალეს და ბიჭვინთური (რელიქტური) ფიჭვების დარგვა დაიწყეს (შავიზღვისპირეთში ფიჭვის მხოლოდ ეს სახეობა იზრდება და ზღვის მარილიან ანაორთქლს უძლებს).

თვით მეცნიერის ერიხ ფონ ანდერეს ბედი ასე წარმართულა: 1949 წელს იგი სოხუმის ფიზიკა-ქიმიის დახურულ ინსტიტუტში გადაიყვანიათ, სადაც შვიდგზის სტალინური პრემია მიიღო თავისი ნაშრომებისათვის და 1957 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაუშვეს.

სტალინი გარდაიცვალა 1953 წელს. ხრუშჩოვმა პროექტი დახურა. თუმცა ქობულეთსა და ურეკს გაუმართლა, რადგანაც ფიჭვები იზრდებოდა, სანაპიროსთან გზების მშენებლობა კი ვერ მოესწრო. ასე რომ, მოსახლეობა ხეებამდე ვერ მიდიოდა და არ შეეძლო მათი გაჩეხვა. ასე გაჩნდა 50-კილომეტრიანი ფიჭვის კორომი, რომელმაც უკვე ადამიანის მონაწილეობის გარეშე დაიწყო აღდგენა და განვითარება.

ზღვისპირა კურორტ ურეკს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ევროპის სამკურნალო და გამაჯანსაღებელ საზღვაო კურორტებს შორის თავისი უნიკალური და ერთადერთი განუმეორებელი სამედიცინო ფაქტორის გამო.

კურორტ ურეკის სამკურნალო ფაქტორების შესწავლა მრავალი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. კვლევები მიმდინარეობდა პანსიონატ „მეგობრობის“ ბაზაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა კურორტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი სამედიცინო ფაქტორების პირველი მკლევარი ოზურგეთელი ნიკოლოზ ქარცივაძე.

ბუნების ისეთი სიმდიდრეები, როგორიცაა ზღვა, მზე, მაგნიტური თვისებების მქონე ქვიშა, ურეკში შესანიშნავ პირობებს ქმნის დასვენებისა და მკურნალობისათვის. ურეკის დადებითი საკურორტო ფაქტორები გამოიყენება სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ: გულ--სისხლძარღვთა სისტემის და პერიფერიული სისხლძარღვთა დაავადების, ცენტრალური ნერვიული სისტემის ფუნქციური დაავადების, საყრდენ -მამოძრავებელი აპარატის დაავადებების და სხვათა დროს .ამავე დროს ურეკის სამკურნალო ფაქტორები გამოიყენება, როგორც მოზრდილთა, ასევე ბავშვთა კონტიგენტისათვის.

ურეკში პირველი ეპიზოდური დაკვირვებები ჩატარდა 1963 წელს, ვ.როხაძის, დ.ზოიძის, ვ. ვასაძის და სხვათა მიერ.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის და=ავადებაზე ურეკის საკურორტო ფაქტორების ზემოქმედების სისტემატური და მიზანდასახული შესწავლა 1977 წელს დაიწყო.

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და მისი ფილიალების თანამშრომლების მიერ დადგენილ იქნა საქართველოს სუბტროპიკული კლიმატის დადებითი გავლენა ჰიპერტონიული დაავადების, ათეროსკეროზის, გულის ქრონიკული იშემიური დაავადების, გულის მანკების მიმდინარეობაზე. აქედან გამომდინარე, ურეკის რბილი სუბტროპიკული კლიმატი შეიძლება ჩაითვალოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალო ფაქტორად, რაც შეეხება ურეკის ქვიშის ზემოქმედებას ორგანიზმზე, კერძოდ, გულსისძარღვთა სისტემაზე, იგი განპირობებულია არა მარტო სითბური ეფექტით, არამედ მუდმივი მაგნიტური ველის მოქმედებითაც.

ჯანმრთელ, ჰიპერტონიული სნეულებით და კორონარული ათეროსკლეროზით დაავადებულ პირებზე კურორტ ურეკის ქვიშის აბაზანის მოქმედების შესწავლით გამოკვლეულია შემდეგი:

1.ქვიშის აბაზანის მიღების დროს და პროცედურის შემდეგ პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებში არტერიული წნევა ქვეითდება 5-10 მმ ვერცხ.წყ.სვეტ. ჰიპერტონიით დაავადებულებში-10-20 მმ. ვერც.წყ .სვ. 30 წუთის შემდეგ არტერიული წნევა საწყის დონეს უბრუნდება.

2. პულსი,როგორც წესი, წუთში 6-10 დარტყმით იშვიათდება როგორც ჯანმრთელ პირებში, ასევე დაავადებულებში, მაგრამ იშვიათ შემთხვევებში ადგილი აქვს პულსის გახშირებას 4-10 დარტყმით წუთში. პულსის სიხშირე საწყის დონეს 30 წუთის შემდეგ აღწევს.

3. ქვიშის აბაზანის მიღებისას და შემდეგ, სუნთქვის სიხშირე წუთში 2-4 სუნთქვით იშვიათდება.

4. დოზირებული ქვიშის აბაზანის მიღების შემდეგ ჯანმრთელ პირებში ეკგ ცვლილებას არ განიცდის. ათეროსკლეროზით და ჰიპერტონიით დაავადებულ პირებში პროცედურის შემდეგ აღინიშნება მცირედ გამოხატული დადებითი ძვრები: სწორდება გულის რიტმი, უმჯობესდება გულის კუნთის ფუნქციური მდგომარეობა და კორონარული სის-ხლმიმოქცევა.

5.ქვიშის აბაზანის შემდეგ ,თავის, გულმკერდის და ქვემო კიდურთა სიმეტრიულ წერტილებში კანის ტემპერატურა იცვლება (მცირდება თავის და გულმკერდის არეში,მატულობს ქვემო კიდურებზე, მცირდება ასიმეტრია, რომელიც ხშირად გვხვდება ჰიპერტონიული დაავადებისას). ეს მონაცემები მიგვითითებს ვეგეტატიური ნერვიული სისტემის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

როგორც სპეციალისტები წერენ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი ძვრები უფრო გამოხატულია მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ, რომელიც მოიცავს 10-15 აბაზანას.

ურეკის განვითარებაზე მეტყველებს ის, რომ აშენდა დიდი სანატორიუმები „კოლხიდა“, „მთის ბროლი“, „მეგობრობა“ და სხვ.

1972 წელს საბჭოთა კავშირის ცკ-ს დადგენილებით კი მიიღეს საკავშირო ბანაკ „არტეკის“ ურეკში გადმოტანისა და უზარმაზარი ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულების შექმნის თაობაზე, რომლის პლაჟის სიგრძე 500 მეტრი იქნებოდა. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა.

## შეკვეთილი



შეკვეთილი საკურორტო ადგილია (ზღვის სპა).

სიტყვა სპა კურორტოლოგიაში ნიშნავს სამკურნალო მინერალურ წყლებზე დაფუძნებულ კურორტს, სადაც ძირითადი სამკურნალო ფაქტორი წყალია. შეკვეთილი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო მე-18 საუკუნის განმავლ-ობაში. 1813 წელს გურიის უკანასკნელმა მთავარმა მამია Vგურიელმა, საქართველოს მთავარმართებლის ნიკოლაი რტიშჩევის რჩევით, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ციხე ააგო. ციხე მდებარეობს მდინარეების - ნატანების და ჩოლოქის ზღვაში შესართავთან.

დღეს საკურორტო ადგილ შეკვეთილის გეოგრაფიული მდებარეობა ასეთია: შავი ზღვის ზოლი, კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი. სიმაღლე ზღვის დონიდან - 2-6 მეტრი. რელიეფი -ვაკე, კლიმატი - სუბტროპიკული,ზამთარი - რბილი, უთოვლო, ზაფხული - ძალიან თბილი, ნოტიო, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა - 22,6 გრადუსი,ნალექების წლიური რაოდენობა - 2096 მმ. ჰაერის საშუალო ტენიანობა -78 %. მზის ნათების ხანგრძლიობა - წელიწადში 20000 საათი. ფლორა - ფიჭვნარი.

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები: ზღვისპირა ნოტიო სუბტროპიკული ჰავა,ზღვის წყალი, პლაჟის ქვიშა .

მკურნალობის სახეობები: თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში და სხვა, მაგნეტიტური ქვიშის აბაზანები.

სამკურნალო თვისებები: გულსისხლძარღვთა, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები,მეორადი ანემია, რაქიტი, პერიფერიული ნერვული სისტემისა და სახსრების დაავადებები.

წელს ურეკსა და შეკვეთილში ასი ათასზე მეტი დამსვენებელი ისვენებდა.

## გრიგოლეთი



გრიგოლეთი ისტორიული ადგილია. იგი ჩიჩხაიის სამოურავოში შედიოდა. XVIII საუკუნის 10-იან წლებში გიორგი IV გურიელმა წყალობის წიგნით ბეჟია, მამუკა და პაპე თავართქილაძეებს უბოძა გრიგოლეთის მებაჟეობა. გიორგი III გურიელის დროს 1784 წელს მდინარე სუფსის მარცხენა მხარე საბატონიშვილოდ გამოეყო ვახტანგ III გურიელს .ვახტანგისა და შემდეგ მისი შვილის დავითის იყო ნავების საბაჟო შემოსავალი გრიგოლეთისა და მალთაყვაში. 1841 წლის 20-23 აგვისტოს გრიგოლეთში, დედაბერას წყლებთან გაიმართა ბრძოლა გურულ აჯანყებულებსა და ოდიშის სამთავრის მილიციას შორის, რომელსაც დავით დადიანი მეთაურობდა. ბრძოლა გურულთა გამარჯვებით დამთავრდა. სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ გურულებმა ხელთ იგდეს მეფე ერეკლე II-ის ცნობილი ხმალი წარწერით, რომელიც წლების მანძილზე ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ინახებოდა, შემდეგ იგი, ჩვენდა სამწუხაროდ, გადასცეს თელავის მუზეუმს.

1886 წელს გრიგოლეთში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ფრანგი არქეოლოგი ჟან მურიე. საბჭოთა პერიოდში გრიგოლეთი ცნობილი იყო თევზის მეურნეობით.

გრიგოლეთი ზღვის სპა კურორტია, მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში - შავი ზღვის სანაპირო ზოლი, კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი. ზღვის სანაპირო ზოლი წარმოადგენს სამკურნალო თვისებების მქონე მაგნეტიტური ქვიშის პლაჟს.მკურნალობის სახეობები:თალასოთერაპია (ჰაერისა და მზის აბაზანები, ბანაობა ზღვაში, და სხვა), მაგნიტური ქვიშის აბაზანები.

სამკურნალო ჩვენებები: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური ხასიათის დაავადებები, გულსისხლძარღვთა, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებები, მეორადი ანემია, რაქიტი, ბრონქოპულმონალური ლიმფადენიტი, პერიფერიული ნერვული სისტემის და სახსრების დაავადებები.

ურეკი,მაგნეტიტი, შეკვეთილი და გრიგოლეთი, ისე, როგორც საქართველოს სხვა საზღვაო კურორტები, შავი ზღვის მარგალიტებია.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# სალომე ზურაბიშვილი „ერთად საქართველოსათვის“ №48

# წინაპრები



მშობლები: ზეინაბ კედია და ლევან ზურაბიშვილი

დავიბადე პარიზში, 1952 წლის 18 მარტს, ქართველი ემიგრანტების - ლევან ზურაბიშვილისა და ზეინაბ კედიას ოჯახში, სადაც მაგიდას ჩემი დიდი ბაბუის, ნიკო ნიკოლაძის ფოტო ამშვენებდა, როგორც შეხსენება მიწის და სამშობლოს ყივილისა. ამ ფოტოს და ქართული გარემოს გამო, არასოდეს მიგრძვნია თავი სამშობლოსგან მოწყვეტილად. ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთ დღეს აუცილებლად დავბრუნდებოდი საქართველოში, დამოუკიდებელ, თავისუფალ ქვეყანაში და ავიხდენდი ოცნებას.

ჩემს წინაპრებს, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან, საფრანგეთში მოუწიათ ემიგრირება. ბაბუაჩემი, დედის მხრიდან, მელქისედეკ კედია, სამეგრელოში დაიბადა. კედიების მთელი ოჯახი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამსახურში იდგა. მელქისედეკი კი დამოუკიდებელი საქართველოს უშიშროების სამსახურში მსახურობდა. მეორე ბაბუა, ვანო ზურაბიშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს სენატის წევრი იყო. დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ყველა ინიციატივაში მონაწილეობდა, რადგან თვლიდა, რომ „არც ერთი ქართველი, რომელსაც ეროვნული თვითშეგნება გააჩნია, უსაქმოდ არ უნდა დარჩეს“.

დაახლოებით ორი ათწლეული, მამაჩემი პარიზში ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარეობდა. მის საბუთში ეწერა „წარმოშობით ქართველი“. მან, უფროს ძმასთან ერთად, დააარსა პარიზის წმინდა ნინოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მისი დახმარებით დაარსდა პენსიონერების ქართულ-უკრაინული სახლი, დაწესდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის და სადღესასწაულო თარიღების აღნიშვნა.



დიდი ბაბუა - ნიკო ნიკოლაძე



ბიძა - მიხეილ კედია, ქართველი [illegible]

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

# საჭადრაკო ღონისძიებებით დატვირთული შემოდგომა



ტესტ-პარტია თენგიზ თოიძესა და გურიის გუბერნატორს შორის

მიმდინარე წელი, როგორც არასდროს საჭადრაკო ღონისძიებებით მდიდარი გამოდგა არა მარტო ქვეყნის მას-შტაბით, არამედ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში და ზოგადად გურიაში. გასაკვირი არაა, რომ აღნიშნულზე დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში პირველად მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარებამ და მისგან გამომდინარე დაგეგმილმა საჭადრაკო ღონისძიებების რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა კალენდარმა.

ოზურგეთში განსაკუთრებული საჭადრაკო აქტივობები შემოდგომის პი-რველი დღეებიდანვე დაიწყო, როცა 7 სექტემბერს ჩვენ ქალაქს ლეგენდარ-ული მოჭადრაკეები ნონა გაფრ-ინ-დაშვილი, ნანა იოსელიანი და გია გიორგაძე ეწვინენ, რომლებიც „ნონას თასთან” ერთად საქართველოს რეგი-ონებს სტუმრობდნენ. ეს დიდებული შეხვედრა ფართოდ გაშუქდა მასმედიის საშ-უალებებით, ამიტომ დავამატებ მხოლოდ იმას, რომ სტუმრები აღ-ფრთოვანებ-ული დარჩა არამარტო გურულების დახვედრით, არამედ იმ ახალგაზრდა მოჭადრაკეების თამაშის დონით, რომლებთანაც ერთ-დრო-ული სეანსი გამართეს. ნონასა და ნანასთან გურიის სამივე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა წარმატებულმა მოჭადრაკეებმა ითამაშა. მართალია მათ 21 დაფაზე ორი ყაიმის (ლანჩხუთელი ლევან კომახიძე და ერთ დაფაზე მოთამაშე ოზურგეთელი ზურა ანდღულაძე და ნიკა ბარამიძე) გარდა ყველა მოიგეს, თუმცა მაღალი შეფასება მისცეს თაკო ასათიანის, ანა მეგრელაძის, თენგიზ თოიძისა და ჩოხატაურელი ლუკა ქორიძის თამაშს.

საინტერესო გამოდგა მოსწავლეთა შორის,10-12 სექტემბერს გამართული რეგიონ-ალური ტურნირი, რომელიც იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მას უნდა დაესახელებინა 10-12-14 და 16 წლამდე ასაკის ის 8 მოჭადრაკე (4-4 გოგონა და ჭაბუკი), რომლებიც ადგილს დაიკავებდნენ გურიის ნაკრებში, საქართველოს გუნდურ ჩემპი-ონ-ატში მონაწილეობის მისაღებად. ეს უფლება მოიპოვეს: 16 წლამდე-**თორნიკე მახა-რაძემ** და **თეა იმნაძემ,** 14 წლამდე - **გივი ზოიძემ** და **ქეთევან კილასონიამ,** 12 წლამდე - **ზურა სტურუამ** და **მარიამ ჩხაიძემ,** 10 წლამდე - **თენგიზ თოიძემ** და **მარიამ სარიშვილმა.**



ცოტაც და ყაიმზე შეთანხმდებიან

გურიის ჭადრაკის ფედერაციის თაოსნობით 14-19 სექტემბერს ქ. ოზურგეთში ჩატარდა გურიის საჯარო სკოლებში და სპორტულ დაწესებულებებში მოღვაწე ჭადრაკის მწვრთ-ნელ-პედაგოგთა 5 დღიანი ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა სპეციალური პროგრამით მოწვეული საერთაშორისო დიდოსტატი, საქართველოს მოჭად-რაკეთა ოლიმპიური გუნდის მწვ-რთნელი ლაშა ჯანჯღავა. ტრენინგით შესაბამისი მომზადება გაიარა 17 პირმა,მათ შორის: ჩოხატაურიდან 2-მა, ლანჩხუთიდან 4-მა, ხოლო ოზურგეთიდან 11-მა მასწავლებელმა. უნდა ითქვას, რომ საჯარო სკოლებში მო-მუშავე ჭადრაკის მასწავლებელთა მომზადების დონე უმეტეს შემთხვევაში ძალზედ არასაკმარისია, რაც გამოვლინდა კიდეც გაზაფხულზე ჩატარებულ მუნიციპალიტეტის გუნდურ სასკოლო პირველობაზე.

28-30 ოქტომბერს ქ. ბათუმში ჩატ-არდა მოსწავლეთა შორის საქართველოს რეგიონთაშორისო გუნდური პი-რველობა, რომელშიც ქვეყნის ყველა რეგიონი ღებულობდა მონაწილეობას. მადლობას ვუხდით ორგანიზატორებს, რომ ეს ჩემპიონატი ბათუმში მიმდინა-რე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას დაამთხვია და ამასთან ერთად ჩვენს მოჭადრაკეებს საშუალება მისცა ახლოს ენახა მსოფლიო საჭადრაკო ელიტის წარმომადგენლები და მათი მიმდინარე პარტიები. საქართველოს პირველობაზე გურიის გუნდის მონაწილეობა ნამდვილად შეიძლება დადებითად შეფასდეს. რომ არა აფხაზეთთან და შიდა ქართლთან მოგებული მატჩების გაყაიმება, ხუთეულში გარანტირებულად ვხდებოდით. თუმცა ხუთი რეგიონის უკან ჩამოტოვებაც არაა ურიგო შედეგი. სამაგიეროდ ინდივიდუალურ ჩათვლებში საქართველოს ჩე-მპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა 12 წლის **მარიამ ჩხაიძემ,** რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 9 ქულა დააგროვა. მეორე შედეგი აჩვენა 10 წლიანებში მოასპარეზე 9 წლის **თენგიზ თოიძემ,** რომელმაც ერთერთ მოგებულ პარტიაში, რომელიც ორმხრივ ცაიტნოტში მიმდინარეობდა დროზე კონტროლი მოადუნა და ვერცხლის მე-დლისათვის საჭირო ქულა დაკარგა. კარგი შედეგი აჩვენა ლანჩხუთელმა **ქეთევან კილასონიამ** და **მარიამ სარიშვილმა,** რომლებმაც ქულების ნახევარზე მეტი აიღეს.

რესპუბლიკის მასშტაბით მიმდინარე სპორტული კვირეულის ფარგლებში 28-29 სექტემბერს ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა მოსწავლეთა შორის მუნიციპალური ტურნირი ჭადრაკში,რომ-ელშიც 14 ახალგაზრდა ჩაერთო. პირველი ადგილი 9,5 ქულით **ლუკა ღლონტმა** დაიკავა,მეორე ადგილზე 8,5 ქულით 10 წლის **თაკო ასათიანი** გავიდა, ხოლო მესამეზე **მარინე ღლონტი.**

2 ოქტომბერს შშმ პირთათვის ოზურგეთის სპორტის სასახლეში სხვადა-სხვა სპორტულ სახეობებში გამართულ რეგიონალურ პირველობებზე,წარმოდგენილი იქნა ჭადრაკის მოყვარულებიც, სადაც რვა მონაწილეს შორის თავი გამოიჩინეს **საბა ვარდოსანიძემ,ავთანდილ ჭახნაკიამ** და **დავით კვირკველიძემ.** შეჯიბრება ორგანიზებული იყო შშმ გურიის რეგიონალური საქველმოქმედო ასოციაციის (თავმჯდომარე რომან ლომაძე) მიერ, რომელშიც ჩართული იყო ოზურგეთის საჭადრაკო კლუბიც.

4 ოქტომბერს კი, ოზურგეთის პედაგ-ოგთა და მეცნიერთა გაერთიანებული პროფკავშირული ორგანიზაციის (თავმჯდომარე რ. გოგუაძე) თაოსნობით 2 საჯარო სკოლაში ჩატარდა მუნიციპალური საჭადრაკო ჩემპიონატი პედაგოგთა შორის, რომელშიც საჯარო სკოლებიდან 12 მასწავლებელი იყო ჩართული. მამაკაცთა შორის პირველი ადგილი 2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა **ანგული სარჯველაძემ** დაიკავა. მეორეზე შრომის საჯარო სკოლის პედაგოგი **დავით ბოლქვაძე** გავიდა, ხოლო მესამეზე — ასკანელი **აქვსენტი ქუთათელაძე.** ქალთა შორის კი საუკეთესო შედეგები აჩვენა **იამზე ღლონტმა** (ასკანა) და მაკვანეთის საჯარო სკოლის პედაგოგებმა **დალი რიჟამაძემ** და **ნინო ჭელიძემ.**



საქართველოს ჩემპიონი მარიამ ჩხაიძე

წლის ბოლომდე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო საჭადრაკო ღონისძიებებია ჩასატარებელი, რომელთა შორის აღსანიშნავია ოქტომბერ-ნოემბერში ოზურგეთის 2018 წლის მუნიციპალური ჩემპიონატი დიდებში და პატარებში, შემდეგ რიგით 23-ე გურიის რეგიონალური ჩემ-პიონატი, ხოლო ნოემბერში გურიის მოჭადრაკეთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს საქართველოს რეგიონთაშორისო ჩემპიონატში. დეკემბერში კი დაგეგმილია გურიის თასის გათამაშება.

ასე, რომ საჭადრაკო სეზონის დასრულებამდე ჭადრაკის მოყვარულები ბევრი საინტერესო ასპარეზობის მოწმე გახდება.

**ზურაბ ანდღულაძე,**
გურიის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელი

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 8 ოქტომბერი ორშაბათი | 9 ოქტომბერი სამშაბათი | 10 ოქტომბერი ოთხშაბათი | 11 ოქტომბერი ხუთშაბათი | 12 ოქტომბერი პარასკევი | 13 ოქტომბერი შაბათი | 14 ოქტომბერი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე +14+26 | მზე ღრუბელი +14+22 | ღრუბელი +13+22 | მზე, ღრუბელი +14+25 | მზე, ღრუბელი +15+22 | მზე, ღრუბელი +15+21 | მზე, ღრუბელი +15+22 |